MES 6 22 0001423917

08/11/2022

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 25.10.2022
სხდომის დაწყების დრო: 14:00 სთ
სხდომის დასრულების დრო: 17:35 სთ
საბჭოს თავმჯდომარე: გოდერძი ბუჩაშვილი
საბჭოს მდივანი: დავით ტეფნაძე

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 33-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.
საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.
საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. გოდერძი ბუჩაშვილი - შპს „საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ის" ადმინისტრაციული მიმართულებით ვიცე-რექტორი - საბჭოს თავმჯდომარე;
2. ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანი - სსიპ ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის მენეჯმენტის სკოლის ხელმძღვანელი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
3. ერეკლე ასტახიშვილი - შპს „თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის" პროფესორი, სსიპ - შოთა რუსთაველის სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის მოადგილე;
4. ირინა გველესიანი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
5. ხათუნა თოდაძე - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვიცე-რექტორი;
6. მაკა კაჭარავა - სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი;
7. ირინა ლობჟანიძე - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
8. ლევან მოსახლიშვილი - სს „საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდის" დირექტორის მოადგილე იურიდიულ საკითხებში;
9. თეა მჭედლური - სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
10. ეკატერინე ნაცვლიშვილი - შპს „ევროპის უნივერსიტეტის" ასოცირებული პროფესორი;

11. თამარ სირაძე - სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე სასწავლო დარგში;
12. დავით ტეფნაძე - ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის დოქტორანტი (საბჭოს მდივანი);
13. ეკატერინე შაკიაშვილი - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საინჟინრო ეკონომიკის, მედია ტექნოლოგიებისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი;
14. დავით ჩოჩიშვილი - სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
15. ნინო ჭალაგანიძე - შპს "კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის" მულტიმედია ცენტრის ხელმძღვანელი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
16. გურანდა ჭელიძე - შპს "კავკასიის უნივერსიტეტის პროფესორი.
17. ანზორ ბერიძე - სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში.

სხდომაზე დამსწრე პირები

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	სტატუსი
1	ლალი ოდიშვილი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი
2	თინათინ ბაჯელიძე	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი
3	ანა ქოიავა	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	საგანმანათლებლო დაწესებულება	სტატუსი	საკითხი

1	ქეთევან ლატარია	სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	I
2	ატო ალავიძე	სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი	პროგრამის ხელმძღვანელი	I
3	ზაალ ქორთუა	სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი	ადმინისტრაციის ხელმძღვანელი	I
4	ათია ქაჯაია	შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი	უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	II
5	ლია ჭიღლაშვილი	შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი	ამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღღვანელი	II
6	იკა დუდაშვილი	შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი	იურიდიული სამსახურის უფროსი	II
7	თეა ცაავა	შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი	ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის უფროსი	II
8	ანა ბიჩენოვი	შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი	ასწავლო პროცესის მართის სამსახურის უფროსი	II

9	ირა ბეჟანიძე	სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი	პროგრამის ხელმძღვანელი	III
10	ვლადიმერ ღლონტი	სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	III,IV
11	არინე ქორიძე	სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი	საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანი	III,IV
12	თეა ქოიავა	სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	III,IV
13	მაია ვანიძე	სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი	პროგრამის ხელმძღვანელი	IV
14	მამუკა თავხელიძე	შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი	რექტორი	V
15	გიორგი მირიანაშვილი	შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი	რექტორის მოადგილე სწავლა-სწავლების საკითხებში	V
16	ინო წილოსანი	შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი	დიპლომირებული სტომატოლოგის საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი	V

აკრედიტაციის ექსპერტები:

N	სახელი, გვარი	ინფორმაცია ელექტრონული საშუალებით მონაწილეობის შესახებ	საკითხი
1	ია ფანცულაია	(ჩაერთო „ზუმით“)	I
2	ნანა გორგასლიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I
3	თამთა ცხოვრებაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I
4	თამარ ხასიტაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	I
5	მაკა კარტოზია	(ჩაერთო „ზუმით“)	II
6	ზვიად როგავა	(ჩაერთო „ზუმით“)	II
7	ინგა ბოჭოიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	III, IV
8	ელენე გიგინეიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	V

აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ გოდერძი ბუჩაშვილმა.
საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27^5-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს სხდომა დაიწყო: 14:00 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის "ფარმაციის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი;
2. შპს თბილისის ჰუმანიტარულ სასწავლო უნივერსიტეტის "სამართლის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და "სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან" შესაბამისობა;
3. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის “ქიმიის” საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიში;
4. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ქიმიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიში;
5. შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ,,დიპლომირებული სტომატოლოგიის” ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიში.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

- არა

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის "ფარმაციის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი;
2. შპს თბილისის ჰუმანიტარულ სასწავლო უნივერსიტეტის "სამართლის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა („ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობა);
3. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქიმია საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიში;
4. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ქიმის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიში;
5. შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ,,დიპლომირებული სტომატოლოგიის” ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიში.

1. პირველი საკითხი: სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის "ფარმაციის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი;

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ფარმაცია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	პირობით აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	N1046700; 28/10/2020
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VI
9	კვალიფიკაციის დასახელება	ფარმაციის ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-

11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0916 ფარმაცია
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	ზუგდიდი 2100, ჯანაშიას ქ.N14
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ გააცნო განსახილველი საკითხი საბჭოს წევრებს და აღნიშნა, რომ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფმა სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის „ფარმაციის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმების მიზნით, ქ. ზუგდიდში, ჯგუფის თავმჯდომარე დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით დაესწრო აკრედიტაციის ვიზიტს. ართვა შეუფერხებლად განხორციელდა. უნდა აღინიშნოს, რომ ვიზიტი მიმდინარეობდა ჰიბრიდულ ფორმატში. 20 სექტემბერს ინტერვიურების დროს ექსპერტთა ჯგუფი იმყოფებოდა ადგილზე, ხოლო ექსპერტთა ჯგუფის

თავმჯდომარე ჩაერთო დისტანციურად. ადგილზე განხორციელდა სასწავლო ბაზების (მატერიალურტექნიკური ბაზა, ბიბლიოთეკა, ლაბორატორიები) დათვალიერება. ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ადმინისტრაციას, მოისმინა დაწესებულების ხედვა აღნიშნული პროგრამის განხორციელებასთან და სამომავლო პერსპექტივებთან დაკავშირებით, შეხვდა და გაესაუბრა პროგრამის თვითშეფასების ჯგუფს, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს, პროგრამის ხელმძღვანელებს, მოწვეულ და აკადემიურ პერსონალს, ასევე გაიმართა შეხვედრები პროგრამის სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებთან.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ "ფარმაციის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება 2012 წლიდან. რეაკრედიტაციისას პროგრამამ მიიღო პირობითი აკრედიტაცია 2 წლის ვადით. აკრედიტაციის ექსპერტთა და საბჭოს მიერ 27 რეკომენდაცია გაიცა, რომლის მიხედვით დაწესებულებამ პროგრამაში შეიტანა ძირეული ცვლილებები და გაითვალისწინა რეკომენდაციები. ერთ-ერთი ფუნდამენტური ცვლილება იყო პროგრამის ხელმძღვანელად ახალი პერსონალთა მოწვევა ნ.ა და ნ.ს, რომლებმაც გარკვეული ცვლილებები შეიტანა პროგრამაში. ფარმაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 240 ECTS კრედიტს, შედგება თავისუფალი და არჩევითი კურსებისაგან. დაწესებულებამ განაახლა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. იუხედავად ხსენებული ცვლილებებისა, ექსპერტთა ჯგუფს ჰქონდა კონკრეტული შენიშვნები, რომელთა მიხედვით 7 რეკომენდაცია შემუშავდა. აღნიშნული რეკომენდაციებისაგან ყველაზე მნიშვნელოვანი ეხება მე-2 და მე-4 სტანდარტებს. ექსპერტთა დასკვნის პროექტის გაცნობის შემდეგ დაწესებულებამ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციით დაადასტურა, რომ იზიარებდნენ ექსპერტთა რეკომენდაციებს და დაწყებული ჰქონდათ მუშაობა მათ შესასრულებლად.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული
რეკომენდაციები:

1. რეკომენდებულია სწავლის შედეგების ფორმულირებისა და შინაარსობრივი მხარის გადახედვა, რათა უპასუხოს მიღწევადობასა და რეალისტურობას, ასევე შედეგების შესაბამისი ზმნებით ფორმულირებამ მკაფიოდ განსაზღვროს სწავლის შედეგების მიღწევის ხარისხი;
2. რეკომენდებულია „ფარმაცევტული საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლები"-ს არჩევითიდან სავალდებულო სასწავლო კურსებში გადმოტანა.
3. რეკომენდებულია სილაბუსებში ტექნიკური და შინაარსობრივი ხარვეზების გასწორება;
4. რეკომენდებულია სილაბუსებში ძირითადი ლიტერატურის განახლება;
5. რეკომენდებულია ყველა დამსაქმებელთან გაფორმდეს ხელშეკრულება, სადაც ასახული იქნება სტუდენტების ზუსტი რაოდენობა და პრაქტიკის პირობები
6. რეკომენდებულია ფარმაციის მიმართულებით აფილირებული პროფესორების რაოდენობის გაზრდა;
7. რეკომენდებულია ინტერნაციონალიზაციის გაძლიერების მიზნით აკადემიური პერსონალის მონაწილეობის ზრდა საერთაშორისო პროგრამებში, კონფერენციებსა და გაცვლით პროგრამებში.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ სილაბუსებში წარმოდგენილი ინფორმაცია განსაახლებელი ჰქონდა დაწესებულებას, რაზეც, როგორც დაწესებულებამ განმარტა, მუშაობა უკვე დაწყებულია.
საბჭოს თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა ექსპერტს და ინფორმაციის დაზუსტების მიზნით მიმართა კითხვით, წარმოდგენილი დოკუმენტაციის შედეგად დგინდება, რომ პროგრამის განმახორციელებელი პერსონალიდან აფილირებული მხოლოდ სამი პერსონალია. რაც ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ დაუდასტურა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექპერტთა ჯგუფს კონსტრუქციული ვიზიტისთვის და აღნიშნა, რომ ექპერტთა მიერ განსაზღვრული რეკომენდაციების ნაწილი შესრულებულია, ხოლო ნაწილი შესრულების პროცესშია.
პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ აღნიშნული ჩანაწერი ჩასწორებულია „კომპეტენციის ფარგლებში მართავს პაციენტის ჯანდაცვის საჭიროებებს ადამიანური, ფინანსური, ტექნოლოგიური და ფიზიკური რესურსების გამოყენებით"; „ახდენს ჯანდაცვის სისტემის შიგნით ფარმაცევტის პროფესიის ღირებულების დემონსტრირებასა და რაოდენობრივ შეფასებას. კულტურული სენსიტიურობით, გამოავლენს ჯანმრთელობის სოციალურ განმსაზღვრელ ფაქტორებს, რათა შემცირდეს თანასწორობა და უთანასწორობა ხარისხიანი ზრუნვის ხელმისაწვდომობაში"; „ცნობს ჯანდაცვის სისტემებში ფარმაცევტის როლს და იცის სისტემის შიგნით მათი ღირებულების დემონსტრირება და რაოდენობრივი შეფასება".
რაც შეეხება მე-2 რეკომენდაციას, რეაკრედიტაციისთვის წარდგენილ საგანმანათლებლო პროგრამაში „ფარმაცევტული საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლები" გათვალისწინებული იყო როგორც სავალდებულო სასწავლო კურსი. აკრედიტაციის ექსპერტთა რეკომენდაციით გადატანილ იქნა არჩევით კურსებში. ამჟამად ექსპერტთა რეკომენდაციით ისევ გათვალისწინებულ იქნა როგორც სავალდებულო სასწავლო კურსი.
მე-3 რეკომენდაციასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სასწავლო კურსები ,,აკადემიური წერა", ,,საინფორმაციო ტექნოლოგიები", ,,დემოკრატია და მოქალაქეობა", წარმოადგენენ თავისუფალ სავალდებულო კურსებს, რომლებიც საერთოა ფაკულტეტის საბაკალავრო და ინტეგრირებული საგანმანათლებლო პროგრამებისთვის. აღნიშნულ სასწავლო კურსებში ტექნიკურად ჩასწორდა ჩანაწერი პროგრამის დასახელებასა და სწავლების საფეხურში.
რაც შეეხება მე-4 რეკომენდაციას, ვინაიდან შესაბამისი კურსებისათვის ახალი ქართულენოვანი ლიტერატურა არ მოიპოვება, ამდენად ყველა სასწავლო კურსის განმახორციელებელ პირს დაევალა ,,რიდერების"-სალექციო კურსების საკითხავი მასალის მომზადება 2023 წლის მარტის თვემდე. ერთ-ერთი სასწავლო კურსისთვის ,,კომუნიკაცია" საკითხავი მასალა უკვე შემუშავებულია.
მნიშვნელოვანია, ასევე, რომ მიმდინარეობს დამსაქმებელთან ხელშეკრულების გაფორმება, სადაც აღნიშნულია პრაქტიკაზე მისაღებ სტუდენტთა რაოდენობა და პრაქტიკის პირობები. ამასთან, სასწავლო უნივერსიტეტს გამოცხადებული აქვს კონკურსი. კონკურსის პირობებით პრიორიტეტი ენიჭება პრაქტიკული გამოცდილების მქონე კადრებს.
უნდა აღინიშნოს, ასევე, რომ აკადემიური საბჭოს 2020 წლის 3 დეკემბრის #68 დადგენილებით განისაზღვრა 2021 წლის პრიორიტეტულ მიმართულებად აკადემიური პერსონალის სამეცნიერო კვლევებისა და პროდუქტიულობის ზრდის მხარდაჭერა. შესაბამისად, 2021 წლის 05 აპრილს #19 დადგენილებით შეიქმნა საკოორდინაციო ჯგუფი აკადემიური პერსონალის სამეცნიერო აქტივობების განხორციელების ორგანიზაციული მხარდაჭერის მიზნით. უნივერსიტეტის მართვის ორგანოების მიერ დამტკიცებულია აკადემიური პერსონალის მხარდაჭერის მექანიზმების დოკუმენტი. სასწავლო უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს სამეცნიერო კვლევების განვითარების ხელშეწყობის, ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობის სტრატეგიები და შემუშავებულია სამოქმედო გეგმები, რომლის ფარგლებში დაგეგმილია აკადემიური პერსონალის მხარდამჭერი ღონისძიებები, მათ შორის, აკადემიური პერსონალის დაფინანსება საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობის მიზნით.
ვიზიტის დროს ძირითადი მიგნებების გაჟღერების დროს, ექსპერტთა მხრიდან იყო რჩევა კომუნიკაციის ცალკე კურსად გატანის შესახებ. შესაბამისად, ეს რჩევა გათვალისწინებულია, ამ კურსის გაძლიერებას სტუდენტების გამოკითხვის შედეგებიც ითხოვდა. პროგრამის განვითარების ჯგუფმა აღნიშნული საკითხებით გააძლიერა ფარმაცევტული მოვლისა და პროფესიული პრაქტიკის სასწავლო კურსები, თუმცა რჩევა ლოგიკური იყო და სასწავლო

კურსი ,,კომუნიკაცია ფარმაციაში“ დამატებულია არჩევით საგნებში, ასევე, შექმნილია შესაბამისი სასწავლო კურსის საკითხავი მასალა, თანამედროვე როგორც ქართული, ისე უცხოური ლიტერატურის გამოყენებით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, ხათუნა თოდაძემ დააზუსტა, თუ სად უნდა მოხდეს პროგრამის კურსდამთავრებულების დასაქმება, გარდა აფთიაქებში კონსულტანტებად მუშაობისა.
საბჭოს წევრმა, ირინა გველესიანმა მოუწოდა დაწესებულების წარმომადგენლებს ესაუბრათ იმ ღონისძიებებზე, რომლებიც ხელს უწყობენ სტუდენტთა ჩართულობას ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებში.
საბჭოს წევრმა, თეა მჭედლურმა აღნიშნა, რომ პროგრამის მიხედვით განსაზღვრულია ორი პრაქტიკა, კლინიკური ფარმაცია და ფარმაცევტული ზრუნვა. შესაბამისად, საბჭოს წევრმა დააზუსტა თუ რამდენ საწარმოსა თუ აფთიაქში ხდება სტუდენტების გაგზავნა და როგორ არის მოცემული პროცესი დაორგანიზებული. ამასთან, საბჭოს წევრმა დააზუსტა აკადემიური პერსონალის ხელშეწყობის მექანიზმები და დაფინანსების საშუალებები კონფერენციებისა და ჟურნალებში სტატიების გამოცემების ფარგლებში.
საბჭოს თავმჯდომარემ, გოდერძი ბუჩაშვილმა დააზუსტა, თუ რა გარანტიები აქვს დაწესებულებას იმისა, რომ მოხდება აფილირებული აკადემიური პერსონალის რაოდენობის შევსება.
საბჭოს წევრმა, ირინა ლობჟანიძემ მოუწოდა ექსპერტთა ჯგუფს განემარტათ პირველი რეკომენდაციის გარშემო არსებული პრობლემური საკითხები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ინსტიტუციას ჩატარებული აქვს შრომის ბაზრის კვლევა, რომლის მიხედვითაც, კურსდამთავრებულების 5% მაგისტრატურაზე აგრძელებს სწავლას, დანარჩენი კი თითქმის 90% დასაქმებულია რეგიონალურ ქსელებში. სტუდენტები საქმდებიან ასევე აფხაზეთში, თუმცა ხშირად დიპლომის აღიარების საკითხის გაჭიანურება ხდება ამ მიმართულებით.
დაწესებულების წარმომადგენელმა, ასევე, განმარტა, რომ ინსტიტუციას საკმაოდ ბევრი სტუდენტთა მხარდაჭერის მექანიზმი აქვს. სასწავლო უნივერსიტეტში ფუნქციონირებს სხვადასხვა დამხმარე ადმინისტრაციული ერთეული, მათ შორის, უწყვეტი განათლების ცენტრი, სტუდენტური მომსახურების ცენტრი, რომლებიც უზრუნველყოფენ სტუდენტებისთვის დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციების მიწოდებას და კარიერული განვითარების ხელშეწყობას. ცენტრის ფარგლებში ტარდება არაერთი ტრენინგი სტუდენტებისთვის. ამასთან, დაწესებულება მუდმივად ატარებს ზაფხულისა და ზამთრის სკოლებს, რაც უნივერსიტეტის ბიუჯეტში დეტალურად განსაზღვრულია. დაწესებულებაში, ასევე, იმართება სტუდენტების ყოველწლიური სამეცნიერო კონფერენცია. ამასთან, დაწესებულებაში აქტიურად მოქმედებს გაცვლითი პროგრამები. გამოყოფილია ბიუჯეტი უცხოელი პროფესორების მონაწილეობით ვორქშოპებისა და ტრენინგების ორგანიზებისთვის, რომელსაც აქვს სისტემური ხასიათი.
მნიშვნელოვანია, რომ წარმოდგენილ პროგრამაში პრაქტიკის კომპონენტი გაზრდილია და განსაზღვრულია 15 კრედიტით. ფარმაცევტული ზრუნვის პრაქტიკა ხორციელდება ზუგდიდის რეფერალურ საავადმყოფოში, რომელთანაც დაწესებულებას გაფორებული აქვს ხელშეკრულება, სადაც ასევე განსაზღვრულია სტუდენტების რაოდენობა, კერძოდ, ერთ მიღებაზე 15 სტუდენტი. ამასთან, დაწესებულება თანამშრომლობს მსხვილ ფარმაცევტულ ორგანიზაციებთან როგორიცაა, ავერსი, ავერსი ფარმა, ფარმადეპო, რომლებთანაც, ასევე,

განსაზღვრულია რაოდენობა და ხდება 10-10 სტუდენტის მიღება, რომლებიც ნაწილდებიან ქსელებში. საწარმოზე აფთიაქიდან არის მენტორი ხოლო უნივერსიტეტიდან ხელმძღვანელი. მენტორის მეთვალყურეობის ქვეშ ხდება ყოველდღიურად პრაქტიკული კომპონენტის განხორციელება სილაბუსის მიხედვით. დაწესებულება სემესტრის დასაწყისში მიმართავს სააფთიაქო ქსელის მენეჯერს, რის შედეგადაც შემდგომ თავად აფთიაქის წარმომადგენლები სთავაზობენ უნივერსიტეტს, თუ რომელ ქსელში რა რაოდენობის სტუდენტის მიღება შესაძლებელია პრაქტიკაზე.
ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა ისაუბრა აკადემიურ პერსონალთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ პროგრამის აკადემიურ პერსონალს სრული ხელშეწყობა აქვს ადმინისტრაციისა და დეკანატის მხრიდან. ფარმაციის პროგრამის აკადემიური პერსონალი სრულად არის ჩართული სამეცნიერო კონფერენციებში როგორც შიდა საუნივერსიტეტო, ისე რეგიონის ფარგლებში გამართულ სხვადასხვა კვლევით აქტივობებში, მათ შორის, ზუგდიდის ბოტანიკური ბაღის რეაბილიტაციის კვლევით საქმიანობაში სტუდენტებთან, უცხოეთიდან მოწვეულ ექსპერტებთან ერთად. სასწავლო უნივერსიტეტი მუდმივად ზრუნავს აკადემიური და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, რაც აისახება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ანგარიშებში პერსონალის პროფესიული განვითარების მიზნით გაწეული საქმიანობების შესახებ. სასწავლო უნივერსიტეტის აფილირებული პერსონალის კვლევითი საქმიანობის ხარისხის გაუმჯობესების, აკადემიური პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის გაუმჯობესების მიზნით უწყვეტი განათლების ცენტრი, უცხო ენათა შემსწავლელ ცენტრთან ერთად ქმნის სათანადო გარემოს აკადემიური პერსონალის ხელშეწყობის მიზნით: სამეცნიერო ნაშრომების ინგლისურად თარგმნა, ეროვნულ და საერთაშორისო საბიბლიოთეკო ქსელებში ჩართულობა და გრიფირებულ სამეცნიერო ჟურნალებში სტატიების განთავსება.
დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ აკადემიური პერსონალის არჩევის დროს უნივერსიტეტი, ძირითადად, ორიენტირებულია პრაქტიკულ გამოცდილებაზე.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ისაუბრა პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ პროგრამაში აღნიშნული ჩანაწერების არსებობა განპირობებული იყო ამერიკის სხვადასხვა უნივერსიტეტების გამოცდილების გაზიარებით და შრომის ბაზრის მოთხოვნებთან პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისობის გაზრდით, თუმცა უფრო მეტად ესადაგება ჯანდაცვის მენეჯმენტს ვიდრე ფარმაციას და საჭიროებდა კორექტირებას. სწორედ აქედან გამომდინარეობდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ განსაზღვრული რეკომენდაცია.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 14:58
დასრულების დრო: 16:02

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის "ფარმაციის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 2027 წლის 31 დეკემბრამდე აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

კენჭისყრის შედეგი:

- **მომხრე - 17**
- **წინააღმდეგი - 0**

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლ ის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის "ფარმაციის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 2027 წლის 31 დეკემბრამდე 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

დაწესებულების წარმომადგენელმა საბჭოს წინაშე დააყენა შუამდგომლობა, მიღებული გადაწყვეტილება ძალაში შესულიყო 2022 წლის 25 ოქტომბრიდან.

საბჭომ, კენჭისყრის შედეგად დააკმაყოფილა დაწესებულების შუამდგომლობა.

საბჭოს ხდომაზე და მისმა წევრებმა სრულად გაიზიარა ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციები:

1. რეკომენდებულია სწავლის შედეგების ფორმულირებისა და შინაარსობრივი მხარის გადახედვა, რათა უპასუხოს მიღწევადობასა და რეალისტურობას, ასევე შედეგების შესაბამისი ზმნებით ფორმულირებამ მკაფიოდ განსაზღვროს სწავლის შედეგების მიღწევის ხარისხი.
2. რეკომენდებულია „ფარმაცევტული საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლები“-ს არჩევითიდან სავალდებულო სასწავლო კურსებში გადმოტანა;
3. რეკომენდებულია სილაბუსებში ტექნიკური და შინაარსობრივი ხარვეზების გასწორება;
4. რეკომენდებულია სილაბუსებში ძირითადი ლიტერატურის განახლება;
5. რეკომენდებულია ყველა დამსაქმებელთან გაფორმდეს ხელშეკრულება, სადაც ასახული იქნება სტუდენტების ზუსტი რაოდენობა და პრაქტიკის პირობები;
6. რეკომენდებულია ფარმაციის მიმართულებით აფილირებული პროფესორების რაოდენობის გაზრდა;
7. რეკომენდებულია ინტერნაციონალიზაციის გაძლიერების მიზნით აკადემიური პერსონალის მონაწილეობის ზრდა საერთაშორისო პროგრამებში, კონფერენციებსა და გაცვლით პროგრამებში.

აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რჩევები:

- სასურველია პროგრამის ინტერნაციონალიზაციის მისაღწევი გზების დასახვა;
- სასურველია სილაბუსებში ინგლისურენოვანი ლიტერატურის გამრავალფეროვნება;
- სასურველია, სტუდენტები უფრო აქტიურად ჩაერთონ ადგილობრივ თუ საერთაშორისო პროექტებში;
- სასურველია, უსდ-მ შესაძლებლობის ფარგლებში, პერიოდულად განაახლოს ლაბორატორია თანამედროვე ანალიზური დანადგარებით;
- სასურველია მეტად გააქტიურდეს დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობა, რათა გაცილებით ეფექტურად მოხდეს განვითარების პროცესებში მათი ჩართულობის და თანამონაწილეობის უზრუნველყოფა.

2. მეორე საკითხი: შპს თბილისის ჰუმანიტარულ სასწავლო უნივერსიტეტის "სამართლის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა („ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობა);

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სამართალი
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2018 წლის 7 დეკემბრისNo200 გადაწყვეტილება
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VI
9	კვალიფიკაციის დასახელება	სამართლის ბაკალავრი

10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0421 - სამართალი Law
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	აქართველო, ქ.თბილისი 0144, ბერი გაბრიელ სალოსის გამზირი N 31
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფმა განახორციელა შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის „სამართლის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის არაგეგმიური მონიტორინგი საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის დადგენის მიზნით. უსდ-ის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე არაგეგმიურმა მონიტორინგმა მოიცვა პირველი, მე-2 და მე-4.1 სტანდარტები.
შპს თბილისის ჰუმანიტარულ სასწავლო უნივერსიტეტის "სამართლის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა ასე შეფასდა:
პირველი სტანდარტი – საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეორე სტანდარტი – სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეოთხე სტანდარტი – სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

1. პროგრამის სწავლის შედეგები შეფასდეს იმ სასწავლო კურს(ებ)ში, რომლებშიც კურიკულუმის რუკის მიხედვით ხდება პროგრამის სწავლის შედეგ(ებ)ის განმტკიცება;
2. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებისას უსდ-მ გამოიყენოს იმ კონკრეტული დავალების შედეგი (ეს შეიძლება იყოს ტესტი, გამოცდა, ესე, იმიტირებული პროცესი, პრაქტიკული დავალება, პროფესიული პრაქტიკისას მენტორის მიერ სტუდენტის შეფასება და ა.შ), რომელიც უშუალოდ ზომავს აღნიშნულ სწავლის შედეგს და აღნიშნულ დავალებასთან მიმართებით დაადგინოს სამიზნე ნიშნული;
3. უსდ-მ შეიმუშავოს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმა, რომელშიც პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმის გარდა აისახოს თუ რომელი დავალებით, როდის, ვის მიერ, სტუდენტთა რა რაოდენობაზე შეფასდება პროგრამის თითოეული სწავლის შედეგი და განისაზღვროს სწავლის შედეგების შეფასების პერიოდულობა;
4. რეკომენდებულია, უსდ-ის მიერ პარტნიორ ორგანიზაციებთან (დამსაქმებლებთან) დადებული ურთიერთთანამშრომლობის დოკუმენტი დეტალურად აღწერდეს როგორც მხარეთა უფლებებსა და მოვალეობებს, ასევე, პრაქტიკის ობიექტზე მისაღებ სტუდენტთა სავარაუდო რაოდენობას, პრაქტიკის მიზანსა და ხანგრძლივობას, უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებისა და სამართლის დარგობრივი მახასიათებელის მოთხოვნათა შესაბამისად.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ ჩამოყალიბებული რეკომენდაციების და რჩევების გაცნობის შემდეგ შპს - თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის მიხედვით, მათი მხრიდან რეკომენდაციები და რჩევები გაზიარებულია და მიმდინარეობს მათი შესრულება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტს კონსტრუქციული ვიზიტისთვის და აღნიშნა, რომ ინსტიტუცია სრულად იზიარებს და ეთანხმება ექსპერტთა

მიერ განსაზღვრულ რეკომენდაციებს, აღნიშული წარმოადგენს გამოწვევას დაწესებულებისთვის, შესაბამისად, აუცილებლად განხორციელდება შესაბამისი ცვლილებები. აღსანიშნავია, რომ დაწესებულებას ჩამოყალიბებული აქვს სწავლის შედეგების გეგმა, დადგენილია სამიზნე ნიშნულები და გადანაწილებულია პროცენტები მოსალოდნელ შედეგებთან მიმართებით. ინსტიტუცია ითვალისწინებს აკრედიტაციის სახელმძღვანელოში მითითებულ გარემოებებს აღნიშნულთან დაკავშირებით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, ლევან მოსახლიშვილმა დააზუსტა 2.4 კომპონენტთან დაკავშრებით არსებულ რეკომენდაციასთან მიმართებით დაწესებულების მიდგომა და არსებული მდგომარეობა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ის შინაარსი, რაც მოცემული იყო მემორანდუმებსა და ხელშეკრულებებში, რიგ პარტნიორებთან უკვე განახლდა იმ მითითებების გათვალისწინებით, რაც განისაზღვრა ექსპერტთა ჯგუფის მიერ. პირობების სახით დეტალურად გაწერილია ხანგრძლივობა, სტუდენტთა რაოდენობა და პროცედურა. თუმცა პროცესი დასრულებული არ არის და გრძელდება მემორანდუმებისა და ხელშეკრულებების განახლება.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

- **დაწყების დრო: 16:21**
- **დასრულების დრო: 16:23**

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის "სამართლის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 17
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება: „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, ამავე მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, 23-ე მუხლის მე-3 პუნქტის, 24-ე მუხლის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 31-ე მუხლის 25 - ე პუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის № 223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს შპს თბილისის ჰუმანიტარულ სასწავლო უნივერსიტეტის "სამართლის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ადმინისტრაციული წარმოება.

3.მესამე საკითხი : სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის “ქიმიის” საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიში;

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ქიმია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	აკრედიტებული, #718777, 16/07/2021
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VI
9	კვალიფიკაციის დასახელება	ქიმიის ბაკალავრი

10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0531 - ქიმია
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	6010, საქართველო, ბათუმი, ნინოშვილის/ რუსთაველისქუჩა35/32
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი

თვითაცილება განაცხადა- ანზორ ბერიძემ, თეა მჭედლურმა, თამარ სირაძემ და ნინო ჭალაგანიძემ.
საფუძველი- შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ქიმიის“ საბაკალავრო პროგრამას აკრედიტაცია მიენიჭა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციია საბჭოს გადაწყვეტილებით. აკრედიტაციის საბჭომ ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რეკომენდაციებს დაამატა რეკომენდაციები და ანგარიშის წარმოდგენის ვადად განსაზღვრა 1 წელი, 2022 წლის 2 ივლისამდე. შესაბამისად, შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელმაც იმსჯელა და გაანალიზა აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციები. სამუშაო ჯგუფის შემადგენლობაში იყვნენ: აკადემიური პერსონალი, სტუდენტები, დამსაქმებელი, კურსდამთავრებული, პროგრამის ხელმძღვანელი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლები. თითოულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით, განისაზღვრა შესაბამისი მიდგომა და რეკომენდაციის გათვალისწინების მექანიზმი. პროგრამამ განიცადა გარკვეული მოდიფიცირება. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიში და დოკუმენტები მოიცავს ინფორმაციას და მტკიცებულებებს გაცემულ 14 რეკომენდაციასთან დაკავშირებით. დაწესებულებამ ასევე წარმოადგინა დამატებითი დოკუმენტები, რომელიც გამოთხოვილი იქნა ზოგიერთი რეკომენდაციის შესრულების დასადასტურებლად. პროგრამის განმახორციელებელმა პერსონალმა შეასრულა მოცულობითი სამუშაო და გაითვალისწინა საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციები. სრულადაა შესრულებული - 7 რეკომენდაცია, მეტწილად - 3 რეკომენდაცია, ნაწილობრივ არის შესრულებული 1 რეკომენდაცია, არ არის შესრულებული 2 რეკომენდაცია, ხოლო ერთი რეკომენდაციის შესრულება დროში გაწერილ აქტივობებს მოითხოვს, რის მზაობასაც დაწესებულება აცხადებს.
სწავლის მიზნებთან დაკავშრებით არსებულ რეკომენდაციას დაწესებულება არ დაეთანხმა. პროგრამაში მითითებულია არა მხოლოდ განსაზღვრული მიზნები, არამედ დასაბუთება მიზნებისა და სწავლის შედეგების. ამ დასაბუთებაში მითითებული იყო, რომ პროგრამა ამზადებს ზოგადი განათლების მქონე ბაკალავრს, რომელიც გასასწორებელია და სწორედ ამას ემსახურებოდა ექსპერტთა დასკვნაში ასახული რეკომენდაცია. ხოლო მეორე რეკომენდაცია ეხებოდა ფართო ცოდნის მიცემის განსაზღვრის საკითხს, რომელშიც მითითებული იყო, რომ პროგრამა ფართო ცოდნას სტუდენტს აძლევს სასწავლო კურსების მიხედვით. მნიშვნელოვანია, რომ პროგრამა რეალურად უზრუნველყოფს ქიმიის სფეროს ფართო ცოდნის მიცემას, თუმცა ამ შემთხვევაში არის სასწავლო კურსები, რომელებიც ვერ მისცემს ფართო ცოდნას და არც არის 0531 ქიმიის სფეროდან, მაგ., ქიმიური ტექნოლოგია, რომელიც ქიმიასთან დაკავშირებით ფართო ცოდნის მომცემია, თუმცა თავად პროგრამა ამ სასწავლო კურსის ფარგლებში ვერ უზრუნველყოფს ფართო ცოდნის მიცემას.
დაწესებულებამ წარმოადგინა პროგრამის დადარების დოკუმენტი, ასევე განახლებული მემორანდუმები და ხელშეკრულებები. ამასთან, ლაბორატორიულ მუშაობებთან დაკავშირებით მოხდა შესაბამისი საათების გასწორება, აღმოიფხვრა პრობლემები საკითხების გადაფარვასთან დაკავშირებით. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამის აკადემიური და მატერიალური უზრუნველყოფა საკამოდ დადებითად უნდა შეფასდეს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტებსა და საბჭოს წევრებს და აღნიშნა, რომ განსაზღვრული რეკომენდაციები ინსტიტუციამ მიიღო და გაითვალისწინა. ყველა რეკომენდაცია მიმართული იყო პროგრამის ხარისხის გაუმჯობესებისკენ, თუმცა დაწესებულებას აქვს მოსაზრება იმ რეკომენდაციებთან დაკავშირებით, რომლებიც მიჩნეულია, რომ სრულად არ იქნა გათვალისიწინებული.

პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ფართო ცოდნის შეძენა ქიმიის ძირითად საბაზო სასწავლო კურსებში: არაორგანულ, ანალიზურ, ორგანულ და ფიზიკურ ქიმიაში, ასევე კოლოიდურ ქიმიაში, მაღალმოლეკულური ნაერთების, ქიმიური ტექნოლოგიის, ეკოლოგიური ქიმიის და სხვა ქიმიურ დისციპლინებში, თეორიებისა და პრინციპების კრიტიკული გააზრება; თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი კვალიფიციური ქიმიის სპეციალისტის მომზადება. ქიმიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები ჩამოყალიბებულია ეროვნული კვალიფიკაციის ჩარჩოს მე-6 დონის შესაბამისად, რომელიც აერთიანებს „ცოდნითა და გაცნობიერებით“ „უნარით“ ან/და „პასუხისმგებლობითა და ავტონომიურობით“ აღწერილ სწავლის შედეგებს. მიზნები განსაზღვრულია მკაფიოდ, იმ ცოდნის და უნარების შესაბამისად, რომელსაც პროგრამის შინაარსი რეალურად უზრუნველყოფს.

პროგრამის ინტერნაციონალიზაციის ხარისხის გაუმჯობესება დაწესებულების მიერ იდენტიფიცირებული იყო როგორც გასაუმჯობესებელი მხარე. მიუხედავად იმისა, რომ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის განვითარებისათვის პერიოდულად ხორციელდებოდა შესაბამისი მონიტორინგი, პერიოდული შეფასება, მნიშვნელოვანია საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გაზიარება, რაც გულისხმობს ანალოგი პროგრამების სწორ შერჩევას, ანალიზსა და ამ პროგრამებთან პერიოდულ შედარებას, რაც გათვალისწინებული იქნება მომავალში და დაეხმარება პროგრამას დააკმაყოფილოს თანამედროვე მოთხოვნები.

პროგრამის ხელმძღვანელმა, ასევე, განმარტა, რომ რიგ სასწავლო კურსში გადაიხედა მიზნები და სწავლის შედეგები კურსის შინაარსთან შესაბამისობის მიზნით. ამასთან, სასწავლო კურსების ლაბორატორიული სამუშაოებისათვის განსაზღვრული საკონტაქტო საათები შესაბამისობაში მოვიდა სამუშაოს შინაარსთან და გაიზარდა მინიმუმ 2-3 საათამდე. რიგ სასწავლო კურსებში გადაიხედა სასწავლო კურსის შინაარსი და გასწორდა საკითხების გადაფარვა.

მნიშვნელოვანია, ასევე, რომ უნივერსიტეტსა და პრაქტიკის განმახორციელებელ პარტნიორ ორგანიზაციას შორის განახლდა ხელშეკრულება, სტუდენტთა რაოდენობის, პრაქტიკის მიზნისა და ხანგრძლივობის მითითებით,გადაიხედა და შესწორდა ზოგიერთ სასწავლო კურსის წინაპირობები საგნების ლოგიკური თანმიმდევრობით. გადაიხედა პროგრამის სტრუქტურა, დაემატა ინგლისური ენის გამოტოვებული 5 კრედიტი. უნდა აღინიშნოს, ასევე, რომ, გადაიხედა და გასწორდა საბაკალავრო ნაშრომის/რეპეტიტორიუმი ქიმიაში წინაპირობები, კერძოდ, ჩაისვა I-VII სემესტრების სავალდებულო სასწავლო კურსები.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 16:47
დასრულების დრო: 16:49

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის “ქიმიის” საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზეს 60 კალენდარული დღის ვადაში არაგეგმიური მონტირინგის განხორციელების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

- **მომხრე -13**
- **წინააღმდეგი - 0**

გადაწყვეტილება: აკრედიტაციის დებულების 27^{6} მუხლის მე - 2 პუნქტისა და 2^{11} პუნქტის საფუძველზე სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის “ქიმიის” საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში საბჭოს მიერ არ იქნა

მიღებული ცნობად და მიმართა ცენტრს აკრედიტაციის პირობებისა და დარჩენილი რეკომენდაციების შესრულების შესამოწმებლად, საგანმანათლებლო დაწესებულებაში მონიტორინგი განხორციელდეს 60 კალენდარული დღის ვადაში.

4.მეოთხე საკითხი : სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ქიმიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიში;

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ქიმია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	, #718779, 16/07/2021
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	ე-7

9	კვალიფიკაციის დასახელება	ქიმიის მაგისტრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0531 - ქიმია
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	6010, საქართველო, ბათუმი, ნინოშვილის/ რუსთაველის ქუჩა35/32
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

√ კი

თვითაცილება განაცხადეს - ანზორ ბერიძემ, თეა მჭედლურმა, თამარ სირაძემ და ნინო ჭალაგანიძემ.
საფუძველი - შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეოთხე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ქიმიის“ სამაგისტრო პროგრამას აკრედიტაცია მიენიჭა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს, გადაწყვეტილებით. აკრედიტაციის საბჭომ ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რეკომენდაციებს დაამატა რეკომენდაციები და ანგარიშის წარმოდგენის ვადად განსაზღვრა 1 წელი, 2022 წლის 2 ივლისამდე. შესაბამისად, შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელმაც იმსჯელა და გაანალიზა აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციები. სამუშაო ჯგუფის შემადგენლობაში იყვნენ: აკადემიური პერსონალი, სტუდენტები, დამსაქმებელი, კურსდამთავრებული, პროგრამის ხელმძღვანელი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლები. თითოეულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით, განისაზღვრა შესაბამისი მიდგომა და რეკომენდაციის გათვალისწინების მექანიზმი. სამაგისტრო პროგრამამ განიცადა მოდიფიცირება. კერძოდ, გადაიხედა პროგრამის სწავლის შედეგები კონცენტრაციების მიხედვით, განახლდა სწავლის შედეგების რუკა, გადაიხედა პროგრამის სტრუქტურა, წინაპირობებთან მიმართებით და შეიცვალა უცხო ენის სასწავლო კურსების სილაბუსები, გადამუშავდა ზოგიერთი სასწავლო კურსის სწავლის შედეგები. ბსუ-ს აკადემიურმა საბჭომ Na06-01/42, 22.06.2022 დადგენილებით, გაითვალისწინა საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის შუამდგომლობა და შეიტანა შესაბამისი ცვლილებები პროგრამაში. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიში და დოკუმენტები მოიცავს ინფორმაციას და მტკიცებულებებს გაცემულ 12 რეკომენდაციასთან დაკავშირებით. პროგრამის განმახორციელებელმა პერსონალმა შეასრულა მოცულობითი სამუშაო და გაითვალისწინა საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციები. სრულადაა შესრულებული ცხრა რეკომენდაცია, მეტწილად ორი რეკომენდაცია, ხოლო ერთი რეკომენდაციის შესრულება დროში გაწერილ აქტივობებს მოითხოვს, რის მზაობასაც დაწესებულება აცხადებს.
პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით ექსპერტმა განმარტა, რომ სამაგისტრო პროგრამა „ქიმიის“ სწავლის შედეგები გაწერილია მკაფიოდ, როგორც ზოგადად პროგრამის, ასევე თითოეული კონცენტრაციების მიხედვით, რომლებშიც გათვალისწინებულია კომპეტენციები, რომლებსაც პროგრამა აძლევს კურსდამთავრებულებს. მათ შორის, გადამუშავდა „ბუნებრივ ნაერთთა ორგანული ქიმიის“კონცენტრაციის სწავლის შედეგები - ცოდნა და გაცნობიერების კომპეტენციასთან მიმართებით.
რაც შეეხება მე-2 რეკომენდაციას, პროგრამის სწავლის შედეგები გადამუშავებულია და ჩამოყალიბებულია იმ სახით, რომ უზრუნველყოფილი იყოს თითოეული სწავლის შედეგის გაზომვა. აღნიშნული რეკომენდაციის შესრულება, ასევე, დასტურდება წარმოდგენილი სწავლის შედეგების რუკით, სადაც დაზუსტებულია სასწავლო კურსების და შესაბამისი კონცენტრაციის მიმართება თითოეულ სწავლის შედეგთან. მიზანშეწონილია სწავლის შედეგები ფორმულირებული იყოს არა როგორც მიმდინარე პროცესი, არამედ როგორც შედეგი.
რაც შეეხება ლიტერატურის განახლებას, დაწესებულებამ გაატარა ცვლილებები აღნიშნულთან დაკავშირებით, თუმცა რიგ სასწავლო კურსთან მიმართებით საკითხი კვლავ აქტუალურია. ამასთან, გადამუშავდა სასწავლო კურსები, გადაიხედა სწავლის შედეგები და მიზნები. ასევე

მოგვარდა და დაიხვეწა ნაშრომის ხელმძღვანელობის საკითხები და განახლდა შესაბამისი მემორანდუმები თუ ხელშეკრულებები.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტებსა და საბჭოს წევრებს და აღნიშნა, რომ განსაზღვრული რეკომენდაციები ინსტიტუციამ მიიღო და გაითვალისწინა. ყველა რეკომენდაცია მიმართული იყო პროგრამის ხარისხის გაუმჯობესებისკენ, თუმცა დაწესებულებას აქვს მოსაზრება იმ რეკომენდაციებთან დაკავშირებით, რომლებიც მიჩნეულია, რომ სრულად არ იქნა გათვალისიწინებული.
მნიშვნელოვანია, რომ გადაიხედა სწავლის შედეგების ცოდნა და გაცნობიერების კომპეტენცია „ბუნებრივ ნაერთთა ორგანული ქიმიის“ კონცენტრაციის მიმართულებით და მოვიდა შესაბამისობაში უმაღლესი განათლების მეორე საფეხურთან.
რაც შეეხება მე-2 რეკომენდაციას, მკაფიოდ გაიწერა სწავლების შედეგები მათი გაზომვადობის და შეფასების მიზნით და, შესაბამისად, შევიდა ცვლილება სწავლების შედეგების რუკაში. ამასთან, დაზუსტდა კურსის „ხარისხის მენეჯმენტის პრინციპების“ წინაპირობა და განახლდა სავალდებულო ლიტერატურა.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 16:47
დასრულების დრო: 16:49

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის “ქიმიის” სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

- **მომხრე - 13**
- **წინააღმდეგი - 0**

გადაწყვეტილება: აკრედიტაციის დებულების 27^{6} მუხლის მე - 2 პუნქტისა და 2^{11} პუნქტის საფუძველზე სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის “ქიმიის” სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში საბჭოს მიერ ცნობად იქნა მიღებული.

5. მეხუთე საკითხი : შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ,,დიპლომირებული სტომატოლოგიის” ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიში.

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	დიპლომირებული სტომატოლოგია

2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2020.09.11. N 820916
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ერთსაფეხურიანი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	ე-7
9	კვალიფიკაციის დასახელება	დიპლომირებული სტომატოლოგი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0911 - დენტალური მედიცინა
12	სწავლების ენა	ქართული

13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	300
14	განხორციელების ადგილი	რინა ენუქიძის ქ.N4 , თბილისი 0159 საქართველო / ჯანო ბაგრატიონის ქ. N6, თბილისი , 0160, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

√ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეხუთე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ 2020 წლის 27 იანვარს შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტმა სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარმოადგინა სააკრედიტაციო განაცხადი დიპლომირებული სტომატოლოგიის“ ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამაზე. ცენტრის დირექტორის 2020 წლის 5 მაისის ბრძანებით შეიქმნა ექპსერტთა ჯგუფი, რომელმაც 2020 წლის 25 ივნისს განახორიელა სააკრედიტაციო ვიზიტი უსდ-ში, ხოლო 2020 წლის 17 აგვისტოს წარმოადგინა აკრედიტაციის ექპერტთა დასკვნა, რომლის შესაბამისად ხუთი სტანდარტიდან, ოთხი შეფასდა როგორც შესაბამისობაში აკრედიტაციის სტანდარტებთან, ხოლო მე-2 რეკომენდაცია შეფასდა როგორც მეტწილად შესაბამისობაში. ზეპირი მოსმენის შედეგად, არგუმენტირებული პოზიციის საფუძველზე, საბჭომ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება, დაკმაყოფილდა შპს

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი სააკრედიტაციო განაცხადი და დაწესებულებას მიენიჭა 7 წლის ვადით აკრედიტაცია, 6 თვეში ანგარიშის წარმოდგენით. საბჭომ, ასევე, გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული რეკომენდაციები. მოცემული რეკომენდაციები ძირითადად იყო ტექნიკური ხასიათის, კერძოდ, სილაბუსებში ტექნიკური უზუსტობების გასწორება, ლიტერატურის განახლება და, შესაბამისად, დარგობრივ საგნებთან მიმართებაში პრაქტიკული კომპონენტის დამატება დასკვნითი გამოცდის ფორმატში. ანგარიშის შედეგად დგინდება, რომ დაწესებულების მიერ გარკვეული უზუსტობები გასწორებულია, თუმცა კვლავ რჩება შესასრულებელი რეკომენდაციები.

რაც შეეხება სილაბუსში აღნიშნულ უზუსტობებს, გრ. რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტში, დიპლომირებული სტომატოლოგიის საგანამანათლებლო პროგრამისათვის, აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების რეალიზების მიზნით შეიქმნა სამოქმედო გეგმა პასუხისმგებელი პირების ჩართულობით. კერძოდ, საგანში „საბაზისო კურსი სტომატოლოგიაში“ არსებული უზუსტობა, პრაქტიკული უნარების შეფასება ნაწილობრივ გასწორდა, ნაცვლად ერთისა ამჯერად არის ორჯერ, თუმცა სილაბუსში არსებობს შემდეგი ჩანაწერი, რომ პრაქტიკული უნარების დემონსტრირება ხორციელდება კურსის განმავლობაში 4-ჯერ. რაც შეეხება საგანს „ადამიანის ფიზიოლოგია“, უზუსტობა ქვიზის რაოდენობასთან დაკავშირებით არ არის გასწორებული, სილაბუსში მითითებულია რომ ქვიზი ტარდება 2-ჯერ, თუმცა გაწერილია 13 კვირაზე. საგანში „ბიოქიმიის საფუძვლები“ უზუსტობა ლაბორატრიულ სწავლებასთან დაკავშირებით გასწორებულია და მითითებულია სასწავლო სილაბუსში 3-ჯერ. საგანში „ზოგადი ფარმაკოლოგია“ უზუსტობა ქვიზის რაოდენობასთან მიმართებაში არ არის გასწორებული, სილაბუსში არსებობს ჩანაწერი, რომ წერითი ქვიზი ტარდება კურსის განმავლობაში 6-ჯერ, თუმცა ქვიზი მითითებულია 13 კვირის განმავლობაში.

რაც შეეხება OSCE-ს გამოცდას, დასკვნით გამოცდაზე პრაქტიკული კომპონენტი არ არის გათვალისწინებული, მოცემული საკითხი აკრედიტაციის ექსპერტებს განსაზღვრული ჰქონდათ დასკვნაში, რასაც, ასევე, დაეთანხმა აკრედიტაციის საბჭოც, კერძოდ სასწავლო კურსებში – ზოგადი ქირურგია, ინფექციური სნეულებები, კერძო ქირურგია, კლინიკური ორთოპედიული სტომატოლოგია – I, II, III; მოდული დენტალური იმპლანტოლოგია, მოდული-პაროდონტის, პერიიპმლანტის, ლორწოვანი გარსის დაავადებები და მდგომარეობები I,II, III; პირის ღრუს ქირურგია, ყბა სახის ქირურგია I, II, III, IV; ორთოდონტია I, II, III, IV დასკვნით გამოცდაზე მოხდეს კლინიკური უნარების შეფასება. უნდა აღინიშნოს, რომ დაწესებულებამ ამ მიმართულებით რეკომენდაცია არ გაითვალისწინა. ანგარიშში მოცემულია, რომ იმ საგნებში, სადაც არ მოხდა ექსპერტთა რეკომენდაციების გათვალისიწნება, კურსების კონტექსტიდან და სპეციფიკიდნ გამომდინარე დასკვნითი 12 სადგურიანი OSCE ჩატარება არ არის განხორციელებადი, თუმცა ამავე სგანებში შუალედურ გამოცდაში მინი OSCE-ით ხელმძღვანელობენ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტსა და საბჭოს წევრებს და აღნიშნა, რომ სილაბუსების წარმოდგენის დროს გაიპარა ტექნიკური ხარვეზი, რის შედეგადაც ძველი სილაბუსები გამოაგზავნეს, შესაბამისად, წარმოდგენილი 28 სილაბუსიდან ამჟამად ტექნიკური ხარვეზი მხოლოდ ორშია.

რაც შეეხება OSCE-ს გამოცდას, რეკომენდაციის მიხედვით კონკრეტულად საუბარია რამდენიმე სილაბუსზე. პროგრამის ხელმძღვანელმა აქტიურად შეისწავლა საერთაშორისო პრაქტიკა და ანალოგი პროგრამები, თუმცა არ იყო ყბა სახის ქირურგიისა და იმპლანტოლოგიის კურსებში დასკვნით გამოცდად განსაზღვრული OSCE. თუმცა ეს არ გამორიცხავს, რომ კურსის ფარგლებში სტუდენტები არ ითვისებენ კლინიკურ უნარებს. მნიშვნელოვანია, რომ ზოგიერთ საგანში განსაზღვრულია, ასევე, მინი OSCE, მაგალითად პარადონტოლოგიის სილაბუსში განსაზღვრულია 4 სადგური. საერთაშორისო სამედიცინო სტანდარტების შესაბამისად, OSCE უნდა იყოს მინიმუმ 12 სადგურიანი, აქ იგულისხმება ის, რომ ორი შეიძლება იყოს შესვენების

სადგური და ათი აქტიური. არსებობს ისეთი კურსები და მათ შორის არის ყბა-სახის ქირურგია, დენტალური იმპლანტოლოგია, პარადონტოლოგია და ლორწოვანი გარსის დაავადებები, მათ შორის ორთოდონტიაც, სადაც უბრალოდ შეუძლებელია OSCE-ს 12 სადგურის გაკეთება. აღნიშნული ტექნიკურად არის შეუძლებელი. ამასთან, არც ერთი ამ სილაბუსის მიზნებსა და შედეგებში არ არის მოცემული, რომ სტუდენტს უნდა ჰქონდეს კლინიკური კომპეტენცია, ვინაიდან ეს კომპეტენციები უბრალოდ სცდება ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის კომპეტენციების ჩამონათვალს. აღნიშნული თემა არის პოსტდიპლომური განათლების. მე-10 სემესტრში წარმოდგენილია 22 სადგურიანი ფინალური ინტეგრირებული OSCE - სადაც შედის ყველა სადგური სტომატოლოგიის ყველა დარგიდან და, მათ შორის, ყბა სახის ქირურგიიდან. აღნიშნულის იმპლემენტაცია დაწესებულებას შეუძლია, რაც პროგრამის რეალურ შედეგზე გასვლას უზრუნველყოფს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, ხათუნა თოდაძემ აღნიშნა, რომ მოცემული დისციპლინები ნამდვილად არის იმ კატეგორიის დისციპლინები, რომელთა სწავლება უფრო ფართოდ ხდება რეზიდენტურის და არა პრედიპლომურ ეტაპზე. შესაბამისად, გასაგებია, რომ სრულფასოვანი OSCE სათითაოდ ყველა საგნის ბოლოს ვერ განხორციელდება.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.
დაწყების დრო: 17:15
დასრულების დრო: 17:30

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ,,დიპლომირებული სტომატოლოგიის" ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 17
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება: აკრედიტაციის დებულების 27^{6} მუხლის მე - 2 პუნქტისა და 2^{11} პუნქტის საფუძველზე შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ,,დიპლომირებული სტომატოლოგიის" ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიში საბჭომ ცნობად მიიღო.

სხდომა დასრულებულად გამოცხადდა 17:35 სთ-ზე.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბუჩაშვილი გოდერძი

საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ტეფნაძე დავით